

ՀԱՅԿԻ ՎԵՐՆԱԿ

Թոբ. Զոգոս Երուս

ԵՃՈՂԱԳՐՈՒՄԻ
ԵՄԵԼՈՒԹՅՈՒՆ

ՄԵԼՈՒԹՅՈՒՆ

ԿՐԻՏԻ ԶՈՂՈՂՈՒՄ







დიანეთის საქმეთა სამმართველოს გამომცემლობა:1593
ჯიზის წიგნები:140

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი muslim-georgia

ბეჭდვითი მონიტორინგი

დოქ. ფატიჰ ქურთი

კოორდინატორი

ლოქმან არსლანი

გამოცემისთვის მოამზადა

ულურ ალთინთოფი

ნაწარმოების განმხილველი კომისიის გადაწყვეტილება:
20.02.2019/26

ISBN: 978-605-7519-37-5

2019-06-Y-0003-1593

სერთიფიკატის ნო: 12930

1. გამოცემა, ანკარა 2019

გამოცემა

Başak Mat. Tanı. Hiz. İth. İhr. Tic. Ltd. Şti.

+90 312 397 16 17

© თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამმართველო

საკონტაქტო ინფორმაცია

რელიგიური პუბლიკაციების გენერალური სამმართველო

უცხო ენასა და დიალექტებზე საგამომცემლო სამმართველო

Dini Yayınlar Genel Müdürlüğü

Yabancı Dil ve Lehçelerde Yayınlar Daire Başkanlığı

Üniversiteler Mah. Dumlupınar Bulvarı

No:147/A 06800 Çankaya/Ankara/TÜRKİYE

ტელ: +90 312 295 72 81

ფაქსი: +90 312 284 72 88

e-posta: yabancidiller@diyanet.gov.tr

საზოგადოების ობლცბა ჩუხის ბაგშვები



დოქ. შაგვთ სულთ



თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამმართველო

სარჩევი რწმენის პირობები

წინასიტყვაობა • 5

შესავალი • 9

ოჯახი • 11

მეზობლები • 12

რწმენა • 13

საქველმოქმედო ფონდები • 15

რატომ ქუჩის ბავშვები? • 15

ვინ არიან ეს ბავშვები? • 19

ქუჩის ბავშვები ანუ ქუჩაში მაცხოვრებელი ბავშვები • 19

ბავშვები, რომლებიც ქუჩაში მუშაობენ ან ამუშავენ • 20

რა გაბედნიერებს? • 28

რა გაუბედურებს? • 28

როცა გაიზრდები რას გააკეთებ? • 29

ბავშვთა უფლებების ხსენებისას რა გახსენდებათ? • 30

ოჯახის ხსენებისას რა გახსენდებათ? • 31

რა უნდა გაკეთდეს? • 32

12 წლის მუსტაფა ამბობს: • 52

ვოლქან (17) • 52

9 წლის ა. გ. თავის გრძნობებს შემდეგნაირად გადმოგვ-
ცემს: • 53

ერთ-ერთი სხვა ბავშვი, ბერნა ქუჩის ბავშვებს და საზოგა-
დოებას შემდეგნაირად ახასიათებს: • 55

ქუჩის ბავშვი • 57

წინასიყუობა

ადამიანი საზოგადოების ნაწილია. ერთიან სივრცეში მცხოვრები ადამიანები ვაღდებულნი არიან იცოდნენ ინდივიდის უფლებება- მოვალეობები და პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა მოქმედებდნენ, რათა ადამიანთა შორის მშვიდობა და ბედნიერება იქნას უზრუნველყოფილი. პასუხისმგებლობის შეგნება პიროვნებამ, უპირველეს ყოვლისა საკუთარით უნდა დაიწყოს. პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა ვისაც გააჩნია, მან ოჯახისა და საზოგადოების წინაშე არსებული პასუხისმგებლობაც იცის და დაკისრებულ მოვალეობასაც ასრულებს.

„ნუთუ ეგონა ადამიანს, რომ უპასუხისმგებლოდ იქნებოდა მიტოვებული?“

ქიამეთ სურას 36-ე აიათი მიგვითითებს, რომ ადამიანი პასუხისმგებლობის მატარებელი არსებაა.

„მერე იმ დღეს, აუცილებლად მოგეკითხებათ, რაც გებოდათ!“

თექასურის სურას მე-8 აიათი კი გვჩვენებს, რომ ადამიანს, უპირველეს ყოვლისა გონება და სხვა მრავალი წყალობა ებოდა და ამის საპასუხოდ, გარკვეული ვაღდებუ-

ლებები დაეკისრა, რომელიც შეძლებიდაგვარად უნდა შეასრულოს.

საზოგადოების სიმშვიდეს, უმთავრესად გაურკვეველობა არღვევს, ყველას გვეკისრება პასუხისმგებლობა, რათა ადამიანის ღირსებისთვის შესაფერისი მომავალი შევიქმნათ. ცხადია, რომ დღეს ჩვენს საზოგადოებაში მრავალი გაურკვეველი საკითხი არსებობს.

დღეისათვის მსოფლიო საზოგადოების მომავალს მრავალი საფრთხე ემუქრება. ესენია: შიმშილი, სიღარიბე, გარემოს დაბინძურება, ბუნებრივი კატასტროფები, სოციალური უთანასწორობა, არათანაბარი პირობები, ზნეობრივი დაცემულობა, სულიერი სიმდაბლე, მატერიალური მიდრეკილებები, ურწმუნოება, ბოროტება, არასაკმარისად ჯანსაღი გარემო, გაურკვეველობა განათლებისა და სამართლიანობის სფეროში, ისტორიული და კულტურული ღირებულებების განადგურება და სხვა. გარდა ამისა, ამ ყველაფერს ემატება ადამიანებს შორის დიალოგის. ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის შემცირება, განსხვავებული აზრის დევნა და ტერორი.

ყველა ეს საკითხი არა კონკრეტული რეგიონის ან ერისთვისაა დამახასიათებელი, არამედ მთელი მსოფლიოს მოსახლეობა

რადაც ფორმით, გაურკვეველობაშია ჩაფლული. ამ საკითხების მოსაგვარებლად კი ხალხებს შორის ურთიერთობის გადრმავება და საერთაშორისო მნიშვნელობის ქმედითი მიღწევების ძიებაა საჭირო.

სინამდვილეში, უმთავრესი არის ის, რომ ჩვენს ხელთ არსებულ ღირებულებებს ვერ ვამჩნევთ და შესაბამისად ამ ღირებულებებით არ ვცხოვრობთ. გამომდინარე აქედან, ჯერ ეს ღირებულებები უნდა აღმოვაჩინოთ და ყოველდღიურობაში დავენერგოთ. უეჭველია, რომ ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულება ისლამია, რომელიც რამდენიმე ათეული საუკუნის განმავლობაში, კაცობრიობას გზას უნათებს.

დღეს, ადამიანის შესაძლებლობების განვითარების მიზნით შემუშავებული ფსიქოთერაპიის მეთოდების ქმედითუნარიანობისათვის, ეკოლოგიური პრობლემების, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის და სხვა მსგავსი გამოწვევების წინააღმდეგ რელიგიის მნიშვნელობა აშკარაა. ისლამს გააჩნია საიმისო შესაძლებლობა, რომ თანამედროვე გამოწვევებს უპასუხოს. მას აქვს საიმისო დინამიკა, რათა თანამედროვე მსოფლიოს ახალი ფორმულირებები შესთავაზოს.

ამ თვალსაზრისით ჩვენი სარწმუნოების მიერ გადმოცემული ბრძანებები და რჩევ-

ბი, რომლებიც ურთიერთდანიმარებისა და ცოლერანტობის პრინციპების დამკვიდრებას უწყობს ხელს, ყურად უნდა ვილოთ და ადამიანებს შორის არსებული უფლება-მოვალეობები კარგად გავიაროთ და ცხოვრების ჭირი და ღხინი ერთად ვზიდოთ. ჩვენი ცხოვრების სტილი სოციალური ურთიერთთანიადგომა უნდა იყოს და ბედნიერი მომავლისთვის ყველამ ერთად ვიბრძოლოთ.

შეხვედი

ბავშვები პირველი ნაბიჯის გადადგმის-თანავე გარეთ გასასვლელად მიიღტვიან. სახლის წინ ეზო და მიმდებარე ტერიტორია ის ადგილებია, რომლებსაც ბავშვები პირველად შეისწავლიან და ახალ აღმოჩენებს გააკეთებენ. ამის შემდეგ მოდის ეზოს გარეთა ტროტუარი, ქუჩა და ახლომახლო ტერიტორია. ბავშვები უბნის ცხოვრების მაცოცხლებელი და გამახალისებელი ნაწილი არიან. ეს იმიტომ, რომ ბავშვებს შეუძლიათ ყოველგვარი წინაპირობის და წინარე შეფასების გარეშე ურთიერთობების დამყარება.

ჩვენს ქვეყანაში ბევრი ბავშვი ქუჩასთან ახლო კონტაქტში ცხოვრობს. სინემდვილეში ეს სულაც არ არის ცუდი. პირიქით, კარგიცაა. ბავშვი რომ ქუჩაში თამაშობს, უბნის ნაწილად რომ ითვლება, მეზობლებს რომ იცნობს, ეს ყველაფერი ცხოვრებისეულია და ბავშვსაც უკეთ ასწავლის ცხოვრებას. სხვადასხვა ტიპის ადამიანებთან შეხვედრა, რითიც მდიდარია ზოგადად ქუჩა, ბავშვის განვითარებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია. თუმცა ამ განვითარებას მაშინ აქვს აზრი, როცა ის ოჯახურ ღირებულებებთან წინააღმდეგობაში არ მოდის.

აქამდე რაც ვისაუბრეთ, „ქუჩაში“ იგულისხმებოდა ის ადგილი, სადაც ბავშვი, ოჯახის მეთვალყურეობის ქვეშ, მეგობრებთან ერთად თამაშობს. თუმცა, ქუჩა სულ სხვა მნიშვნელობას იძენს იმ ბავშვებისთვის, რომლებიც დიდი ქალაქის საფრთხის შემცველ, უცხო უბნებში ცხოვრობენ, ან ოჯახის რჩენის მიზნით მთელ ქალაქში ხეტიალი უწყებენ.



სხვადასხვა კვლევებმა ცხადყო, რომ იმ საზოგადოებაში, სადაც უფრო მეტად განათლებული არიან დედები, მით უფრო ნაკლებია ქუჩაში დარჩენილი ბავშვების რაოდენობა. დაბალშემოსავლიანი ოჯახის ბავშვები უფრო მეტად ხვდებიან ქუჩაში, ვიდრე საშუალო და მაღალშემოსავლიანი ოჯახის

შვილები. სახლების სივიწროვე, მრავალშვილიანობა, საკუთარი ოთახის არარსებობა და სხვა მსგავსი ფაქტორები ბავშვის ქუჩაში აღმოჩენას უწყობს ხელს.

პრობლემა ისაა, რომ ბავშვი ქუჩაში უკონტროლოდაა მიტოვებული და ამასთანავე არ არის დაცული მისი უსაფრთხოება. ქუჩა ქალაქის ნაწილია. ქუჩაში გასული ბავშვი მეტნაკლებად ყველა იმ რისკისა და საშიშროების წინაშე დგას, რაც ქალაქს ზოგადად ახასიათებს.

ოჯახი

ოჯახს ბევრი მოვალეობა აკისრია: შთამომავლობის გაგრძელება, ოჯახის წევრების მშვიდ გარემოში ცხოვრება, კვება, სიყვარული, პიროვნების იდენტიფიცირება, სოციალურ გარემოში სტატუსის დამკვიდრება, საზოგადოებრივი, რელიგიური და კულტურული ღირებულებების შესწავლა და თაობიდან თაობაზე გადაცემა და სხვა. ეს ყველაფერი ოჯახის ფუნქციაა.

ურბანიზაცია, მიგრაცია, სიღარიბე და მსგავსი ფაქტორები ოჯახის ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციების შესრულებას გარკვეულწილად აფერხებს. ვრცელი ოჯახიდან

პატარა ტიპის ოჯახზე გადასვლა, ქალისა და მამაკაცის როლების გაცვლა, ქალის-ოჯახს გარეთ მუშაობის აუცილებლობა და მსგავსი ფაქტორები კი ოჯახში ავტორიტეტის პრობლემას აჩენს და ამ ყველაფრისგან, უპირველეს ყოვლისა ბავშვები ზარალდებიან. არასაკმარისად ხორციელდება ბავშვების ჯანმრთელობის, კვების, ჩაცმის, აღზრდა-განათლების და სხვა მსგავსი მნიშვნელოვანი საჭიროებების დაკმაყოფილება. უმეტეს შემთხვევაში ამგვარი პრობლემები უფრო წინ მიდის და ბავშვები ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან ან ოჯახს გარეთ, ქუჩაში უნდა იმუშაონ.

ყველა ღარიბი ოჯახის ბავშვი მუშაობს? არა. გამოდის რომ არის რაღაც განსხვავება. როდესაც გავანალიზებთ თუ საიდან მოდის ეს განსხვავება ცხადი ხდება, რომ ის ოჯახები, რომლებიც ბავშვის მომავალზე მართლა ფიქრობენ და მათი მომავლისათვის ინვესტიციებს არ იშურებენ ამას არ აკეთებენ.

მეზობლები

კარგი მეზობლური ურთიერთობები, ბედნიერებისა და სიხარულის გაზიარება, ჭირსა და ღსინში ერთად დგომა საზოგადო-

ებრივი სიმშვიდისა და ჰარმონიის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობის მატარებელია. ის მორალურად ეხმარება როგორც პიროვნებებს, ისე ოჯახებსაც. სოციალური ურთიერთობის თვალსაზრისით ადამიანის უპირველესი გარემო ოჯახია, ხოლო ამის შემდეგ ახლო სამეზობლო მოდის. სწორედ ამიტომაც, რომ ყურანშიც და ჰადისებშიც მეზობლობა და მეზობლური ურთიერთობები აქტიურადაა გაშუქებული.

ბევშვების აღზრდისა და მშობლების არყოფნის დროს მათი ქცევების კონტროლისა თუ მათი უსაფრთხოების კუთხით მეზობლების მიერ გაწეული წვლილი ძალიან ღირებულა. თუმცა, დიდი ქალაქები, უზარმაზარი კორპუსები, თანამედროვეობისთვის დამახასიათებელი სისწრაფე და გაუცხოება მეზობლურ ურთიერთობებს ასუსტებს და შესაბამისად ბავშვებიც ამ მნიშვნელოვანი გარემოს გარეშე რჩებიან.

ინშენა

ისლამი პიროვნულ და საზოგადოებრივ ცხოვრებას ერთ მთლიანობაში განიხილავს. ისლამი ცხოვრების ნებისმიერ სფეროს ზომიერად ეკიდება და საჭირო განმარტებების მეშვეობით ადამიანს სწორი გზით წარმართავს.

ნამდვილი მორწმუნეები გარდა იმისა, რომ ინტენსიურად ასრულებენ ღვთისმსახურებას, რომელიც ღმერთთან რწმენისეული კავშირის გამოხატულებაა, ამასთანავე მნიშვნელობას ანიჭებენ სხვა ადამიანების უფლებებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებში სამართლიანი, ზომიერი და პასუხისმგებლობით სავსე დამოკიდებულების შენარჩუნებას, რასაც სარწმუნოება გვასწავლის.

ადამიანის გაჩენა მისი პასუხისმგებლობის საფუძველზეა დამყარებული.

„უეჭველად, ჩვენ შევთავაზეთ პასუხისმგებლობა აელო ცანსა და დედამიწას და მთებს, მაგრამ უარი თქვეს და შეეშინდათ მისგან, კაცმა კი იტვირთა იგი. უეჭველად, იგი უსამართლოა, უგუნური!“ (აჰზაბ 72)

აიათში ნახსენები სიტყვა „პასუხისმგებლობა“ მხოლოდ ღმერთის წინაშე პასუხისმგებლობას არ გულისხმობს. ადამიანს სხვათა მიმართაც გააჩნია პასუხისმგებლობა. შუამავაღმა ერთ-ერთ ასჰაბთაგანს, რომელიც მთელ დროს მხოლოდ ღვთისმსახურებაში ატარებდა, უთხრა: „მხოლოდ ღვთისმსახურებით დაკავება სწორი არ არის. შენ გაქვს ვალდებულება საკუთარი თავის და ცოლ-შვილის წინაშე. ვალდებულება უნდა აღასრულო.“ (ბუჰარი, საჰმ, 51)

საქველმოქმედო ფონდები

საქველმოქმედო ფონდების შექმნისა და მათი ფუნქციონირების საფუძველი ეყრდონობა იმ აიათებსა და ჰადისებს, რომლებიც ადამიანებს სიკეთის კეთებაში შეჯიბრების, ღმერთის გზაზე დახარჯვის, უსახლკარო, ობოლი, დავრდომილი, ღარიბი და მსგავსი გაჭირვებული ადამიანების დახმარების და სხვა სასიკეთო საქმეების კეთებისკენ მოგვიწოდებს. საქველმოქმედო ფონდები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საზოგადოების სოციალური სტაბილურობის ჩამოყალიბებისა და სოციალური წონასწორობის დამკვიდრებაში იქ, სადაც სახელმწიფო ვერ სწვდება.

რაცომ ქუჩის ბავშვები?

ბოლო ხანებში მიმდინარე არაჯანსაღი ურბანიზაცია, გაუნათლებლობა და შესაბამისად უმუშევრობა, ეკონომიკური არასტაბილურობა და სხვა მსგავსი ფაქტორები, ოჯახის, საზოგადოებრივი წესრიგის და სულიერი ღირებულებების დაცვისუნარიანობის შესუსტებას განაპირობებენ. ქუჩა ბავშვისთვის საშიში გახდა.

რეგიონებში მაცხოვრებელ ოჯახებში, ოჯახის წევრები ფსიქოლოგიურად და

სოციალურად ერთმანეთზე არიან დამოკიდებული, თუმცა ქალაქის პირობებში ეს დამოკიდებულება ქრება. მოუწესრიგებელი ოჯახური გარემოდან გამომდინარე მშობლები შვილებს სათანადო ყურადღებას ვერ აქცევენ, ამიტომ მსგავს სიტუაციაში მყოფი ზოგიერთი მათგანი ქუჩის ცხოვრებას ანიჭებს უპირატესობას.



ამგვარი ტიპის ოჯახებში ბავშვების განათლებას ყურადღება არ ექცევა და ოჯახის ბიუჯეტისათვის შემოსავლების უზრუნველყოფისას ბავშვებისგან თანამონაწილეობას მოითხოვენ და ბავშვებს ხშირ შემთხვევაში ისეთ სამუშაოებზე უწევთ მუშაობა, სადაც მათი ფიზიკური და სულიერი უსაფრთხოება დაცული არ არის. გარდა ამისა არსებობს სხვა მიზეზები, რომელთა გამოც ბავშვები ქუჩაში აღმოჩნდებიან ხოლმე: ამ მიზეზთაგან უმთავრესი

შემდეგია: განქორწინებები, არაოფიციალური კავშირები, სხვადასხვა მეუღლეებისგან გაჩენილი შვილები, მშობლებისგან რომელიმეს მიერ ოჯახის მიტოვება, ალკოჰოლი, ნარკოტიკი, ოჯახური ძალადობა და სხვა. ბაშვების ქუჩაში მოხვედრის მიზეზი შეიძლება გახდეს აგრეთვე თავგადასავლების მოყვარულობა, დიდი ქალაქის ნაირფერადი ცხოვრებით მოხიბლვა, ტელევიზორში დანახული „საოცარი ცხოვრებისკენ“ სწრაფვა, გამდიდრებისა და პოპულარულობისკენ უმოკლესი გზების ძიება, გონებასუსტობა და სხვა მსგავსი ფაქტორები.

ფაქტიურად, ოსმალეთის დროინდელ სტამბოლში, სანამ თანამედროვე ცივილიზაცია შემოვიდოდა, ქუჩის ბავშვების შესახებ საუბარი არ არის. ყოველდღიურ ცხოვრებაში ოჯახის, უბნის, მეზობლების და სამუშაო გარემოს როლი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის თვალსაზრისით ძალზედ მნიშვნელოვანია. გარდა ამისა საქველმოქმედო ორგანიზაციების მუშაობა ქუჩის ბავშვების რაოდენობის ზრდას მაქსიმალურად ზღუდავდა.


მაგალითად, არსებობს ცნობები, რომ ოსმალეთის დროს, სამოქალაქო სამართალის მიხედვით, ქვრივ ქალს, ტყუპების მშობელს ან მეურვეს და მათ, ვინც უპატრონო და მიტოვებულ ბავშვებს იშვილებდა სახელმწი-

ფო ხაზინიდან ხელფასს უხდიდნენ.

თურქეთის რესპუბლიკაში ქუჩის ბავშვების არსებობა პირველად 1950 წლისათვის, სტამბოლში დაფიქსირდა. ისინი გალათას ხიდის ქვეშ იყვნენ დაბანაკებულნი, ამიტომ „ხიდის ქვეშა ბავშვები“ უწოდეს და ისინი, იმ პერიოდის პოეტების და მწერლების ნამუშევრებში ხშირად ფიგურირებდნენ. თუმცა, ზოგადად ქუჩის ბავშვი და, როგორც სოციალური პრობლემა, შედარებით ახალია.

ქუჩის ბავშვების განსაკუთრებული სიმრავლე შეინიშნება იმ ქალაქებში, სადაც სოფლებიდან ინტენსიური მიგრაცია და თვითნებური გადმოსახლებები მიმდინარეობს.

ბოლო ხანებში ქუჩის ბავშვებს ყველგან ვხვდებით; პარკში, ბანკომატებთან, ქუჩის სკამებზე, ტროტუარებზე მათხოვრობისას, სანაგვე ყუთებში საჭმლის ძიებისას, მანქანების მინების წმენდისას, სალფეტკების ან სხვადასხვა წვრილმანის დაუინებული გაყიდვის მცდელობისას და სხვა.



ვინ არიან ეს ბავშვები?

ქუჩის ბავშვების ორ ჯგუფად დაყოფაა შესაძლებელი:

ქუჩის ბავშვები ანუ ქუჩაში მაცხოვრებელი ბავშვები

ეს ის კატეგორიაა, რომლებიც მუდმივად, ოცდა ოთხი საათი ქუჩაში არიან. იქ ცხოვრობენ, იქ იძინებენ, იქ მუშაობენ, მოკლებულნი არიან ოჯახის სიყვარულს და სიტბოს, ხშირად მიდრეკილნი არიან დანაშაულისკენ, ეჩვევიან ნარკოტიკს და სხვა. ისინი მოკლებულნი არიან ისეთ ელემენტარულ მოთხოვნილებებს, როგორცაა სკოლაში სიარული, ოჯახში მშობლებთან

ერთად ცხოვრება, დებთან, ძმებთან ერთად თამაში და ზოგადად ოჯახური ბედნიერება.

ქუჩის ბაგშეობი ქუჩის ყოველგვარი საფრთხის მიმართ ყველაზე მოწვევლადი ფენაა. მათ სახლი ქუჩაა, სახურავი კი -ცა. მათ სხვადასხვა მიზეზების გამო ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილი აქვთ ოჯახებთან. შესაბამისად ისინი ყოველგვარი სულიერი და ფიზიკური საფრთხის წინაშე გამორჩეულ რისკჯგუფს წარმოადგენენ. მათ არ გააჩნიათ პერსპექტივის განცდა, ვერ გრძნობენ სიყვარულს და მზრუნველობას, არ იღებენ განათლებას, ხშირად ხდებიან ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, ამიტომ მომავალთან დაკავშირებით მათი მოლოდინები და იმედები სრულიად განსხვავებულია. ასეთ პირობებში ხშირია შემთხვევები, როდესაც ისინი იჩაგრებიან, ძალადობის მსხვერპლი ხდებიან ან თვითონ არიან მოძალადეები, სჩადიან დანაშაულს, ან აძალდებენ დანაშაულის ჩადენას. ასევე ხშირად ხდებიან ტრეფიკინგის მსხვერპლი და ასევე ხშირად ემართებათ ქრონიკული, გადამდები დაავადებები.

ბაგშეობი. რომლებიც ქუჩაში მუშაობენ ან ამუშაობენ

ეს იმ კატეგორიის ბაგშეობი არიან, რომ-

ლებიც გვიანიც რომ იყოს სამუშაოდან სადამოს სახლში ბრუნდებიან და მათი მიზანი ოჯახურის დახმარებაა. ასეთი ბავშვები სკოლაშიც დადიან და განათლებას იღებენ. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ფულს გამოიმუშავენ, დახარჯვის საკითხში პრობლემებს აწყდებიან, რადგან ისინი მაინც ბავშვები არიან. ხშირად ეს პრობლემები უბიძგებს მათ დამოუკიდებლად ცხოვრება გადაწყვიტონ და ისინიც ქუჩაში აღმოჩნდებიან ხოლმე. ხოლო რადგანაც გააკვეთილებისთვის დრო ნაკლებად აქვთ და ვერ მეცადინებენ, სკოლაშიც წარმატებულნი არ არიან.

აქ ყურადღებამისაქცევია ის ფაქტი, რომ ბავშვები ნაბიჯ ნაბიჯ უფრო ეშვებიან იმ გარემოში, რომელიც სახიფათოა მათთვის და საიდანაც ნორმალურ ცხოვრებაში დაბრუნება საკმაოდ ძნელია. სინამდვილაც ასეთია. ბავშვები, რომლებიც ქუჩაში დაძრწიან და წმენდენ მინებს, ღებავებ ფეხსაცმელებს, ყიდიან წვრილმან რაღაცაებს მოგვიანებით ხდებიან ძალადობის მსხვერპლი, ეჩვევიან ნარკოტიკებს და მთლიანად სწყდებიან ოჯახებს. ასეთ დროს ბავშვები, როგორც წესი განათლების მიღებას შუა გზაზე წყვეტენ, სცილდებიან თანატოლთა გარემოს და ვერც უფროსების წრეში იმკვიდრებენ ადგილს. გარდა ამისა, ბავშვი ამ დროს ვერც სამუშაო გარემოს ეგუება ქუჩის უსასრუ-

ლო და შეუზღუდავ თავისუფლებას ირჩევს, რაც სოციალური ცხოვრებისგან მის ჩამოშორებას იწვევს. საბოლოოდ ასეთი ბავშვები ქუჩაში ცხოვრებაზე აკეთებენ არჩევანს. ცხოვრება კი თავისი სიმძიმით მათი ნაზი სხეულების გასრესის მცდელობას ისევ და ისევ განაგრძობს.

ოფიციალური მონაცემებს რომ დავაკვირდეთ ქუჩაში მცხოვრების ბავშვების რეალური რაოდენობა არც თუ ისე დიდია. თუმცა მეორე კატეგორიის ბავშვები გაცილებით მეტნი არიან. სამწუხაროდ ბავშვებს სხვადასხვა მიზეზების გამო ქუჩაში ყოფნა და მუშაობა უწევთ.

ქუჩაში მცხოვრები თუ მომმუშავე ბავშვებს შორის გარდა ბიჭებისა ვხვდებით გოგონებსაც. თუმცა გოგონების რაოდენობა ბიჭებთან შედარებით გაცილებით ნაკლებია. ამის მიზეზი ტრადიციული და ზნეობრივი გავლენებია, რაც ოჯახებს აიძულებს გოგონები უფრო მეტი კონტროლის ქვეშ ყავდეს და გარკვეული ასაკის შემდეგ ქუჩაში სამუშაოდ აღარ გაუშვას. არსებობს სხვა მიზეზიც. ხშირად ამ კატეგორიის გოგონებს იტაცებენ და პროსტიტუციის სფეროში ამუშავენ, რის გამოც ისინი ქუჩაში ნაკლებად ჩანან.

სტამბოლის ქუჩებში მცხოვრები და მომმუშავე ბავშვების, მათი ოჯახების, ცხოვრე-

ბის პირობების და თემასთან დაკავშირებული სხვა საკითხების კვლევებმა შემდეგი შედეგები აჩვენა:

ქუჩაში მომუშავე ბავშების 70 პროცენტი ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებზე რამოდენიმე წლით უმცროსია.

მათგან ნახევარზე მეტს ქუჩაში მომუშავე ძმა ან და კიდევ ჰყავს.

70 პროცენტზე მეტის სამშობლო აღმოსავლეთი, ან სამხრეთ-აღმოსავლეთია.

ასეთი ბავშვების დედების 70 პროცენტზე მეტი წერა-კითხვის უცოდინარია. ქუჩაში მომუშავე ბავშვების დედები იშვიათად არიან დასაქმებული.

მათი მშობლების საშუალო ასაკი ორმოცი წლის ფარგლებშია.

მათი უმრავლესობა სხვენებში, ფარდულებსა და მიტოვებულ შენობებში ცხოვრობს.

ასეთი ბავშვების ოჯახებში ოჯახური ძალადობის და მავნე ჩვევების გამოვლინების საშუალო მაკვეთელი ძალიან მაღალია.

ქუჩაში მცხოვრები ბავშვების უმრავლესობა ფიქრობს, რომ საზოგადოებას მათი პრობლემები არ აინტერესებს.

ქუჩაში მცხოვრები ბავშვების უმრავლესობა ეწევა სიგარეტს და სუნთქავს სხვადასხვა წებოსმაგვარ მომწამვლელ ნივთიერებას. ნარკოტიკების მომხმარებლები ნაკლებად არიან.

სიტყვა სიყვარული მათი ნახევრისთვის ოჯახთან, ოჯახურ სიტბოსა და უსაფრთხოებასთან ასოცირდება, ხოლო მათ ერთ მეოთხედს სიტყვა სიყვარული არაფერს ასენებს.

მათი უმეტესობა ქუჩაში ყოფნით კმაყოფილი არ არის. სურთ, რომ პროფესია შეიძინონ და სწავლა გააგრძელონ.

მათი აბსოლუტური უმრავლესობა ამბობს, რომ მათი შვილების ქუჩაში ცხოვრებას არ ისურვებდნენ.

ისინი იძულებულნი არიან იმუშაონ და ოჯახის რჩენაში მონაწილეობა მიიღონ, ამის გამო კი სწავლას წყვეტენ. ოჯახებიც, უფრო მეტი შემომტანის სურვილით ბავშვების სკოლაში გაგზავნისგან თავს იკავებენ. გარდა ამისა, ოჯახებს ბავშვები სკოლიდან გამოყავთ, რადგან სკოლასთან დაკავშირებულ ხარჯებს ვეღარ იხდიან. რამოდენიმე წელს თუ გამოტოვებს ბავშვი და მერე ისევ სკოლაში შებრუნდება, კლასში მასზე პატარებს შორის მოხვდება და ესეც ცალ-

კე დისკომფორტს უქმნის, რაც საბოლოო ჯამში მათი საერთოდ სკოლიდან გაყვანით სრულდება.

მათ სურთ, რომ არსებობდეს დაწესებულებები, სადაც ისინი დასვენებას, პროფესიის შექენას, საჭიროებების დაკმაყოფილებას და ოჯახებთან ურთიერთობის დამყარებას შეძლებენ.

მუდმივად მეთვალყურეობის ქვეშ მყოფებს დაუცველობის განცდა აწუხებთ. ამის გამო ნარკოტიკებს ეჩვევიან, რადგან ფიქრობენ, რომ ამით შიში დაავიწყდებათ. ამავე მიზნით შედიან ქუჩურ კრიმინალურ დაჯგუფებებში და ფიქრობენ, რომ ასე უფრო დაცულნი იქნებიან. კრიმინალური დაჯგუფებები აიძბეს მათ სხვადასხვა სახის დანაშაულები ჩაიდინონ, რაც საბოლოო ჯამში მათში დანაშაულისა და დაუცველობის გრძნობებს ბოლომდე განავითარებს. ისინი მუდმივად გრძნობენ, რომ სხვებისთვის არასასურველნი არიან ამიტომ საკუთარი თავის მიმართ სიმდაბლის გრძნობა უჩნდებათ და ხდებიან აგრესიულები. ცხოვრებისგან უკვე აღარაფერს ელიან. უკვე არავის ენდობიან. სიყვარული რომ აჩვენოს ვინმემ, ისინი იოლად აღარავის დაუახლოვდებიან. დროთა განმავლობაში სიყვარულის შეგრძნების უნარი უკვალოდ ქრება.

ისინი ოჯახებს არიან მოწყვეტილნი, ამიტომ ნორმალური ოჯახური გარემო, ის ურთიერთობები და მაგალითის მიმცემი ადამიანები არ ჰყავთ. მათთვის სამაგალითო ადამიანები იმ ბანდის წევრები არიან, სადაც ისინი მოხვდნენ. ამის მიუხედავად მათთვის დედა განსაკუთრებული დატვირთვის მატარებელია. ქუჩაში მცხოვრები ბავშვები ამბობენ, რომ ყველაზე მეტად დედა ენატრებათ.



გამოკვლევების მიხედვით ამ ორივე კატეგორიის ბავშვებისათვის „დედა“ განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელი და ოჯახის მნიშვნელოვანი წევრია. ბავშვების აზრით დედები ყველაზე უფრო სანდონი არიან. ამის საწინააღმდეგოდ კი, ბავშვები მიიჩნევენ, რომ მამებთან კომუნიკაცია ძნე-

ღია და თან მამებს არ ენდობიან. გარდა ამისა აღნიშნავენ, რომ მამები ის ადამიანები არიან, რომლებიც მათ სჯიან.

ზოგიერთი ბავშვს ისედაც ფსიქოლოგიური პრობლემები ჰქონდა და ამიტომ გაიქცა სახლიდან. იქ კი, ქუჩაში, მისი ეს პრობლემები უფრო მძაფრდება და ბავშვი მეტი საფრთხის წინაშე აღმოჩნდება ხოლმე.

ქუჩაში ერთადერთი ადგილი, სადაც ისინი თავს აფარებენ ხოლმე, ოცნებებია. პრინციპში, ამ ასაკში მყოფი ნებისმიერი ახალგაზრდისათვის ეს ასეა. თუმცა ქუჩის ბავშვებს მომავლისკენ მიმართული იმედები არ გააჩნიათ, ამიტომ სხვადასხვა მავნე ნივთიერებებს ეძალებიან, რათა ოცნებების აგება უკეთ შეძლონ. ამგვარი ოცნებები აფიქრებინებთ, რომ ისინი თავისუფლები არიან. გარდა ამისა ამ არარეალურ სამყაროში ყოფნა უადვილებს მათ გააკეთონ ისეთი რამ, რაც ჩვეულებრივ სიტუაციაში სირცხვილად და ღირსების შემლახავად ითვლება. ასეთია მაგალითად ქურდობა, მათხოვრობა, პროსტიტუცია და სხვ.

ახლა მოვუსმინოთ ქუჩაში მომუშავე ან მცხოვრები ბავშვების მიერ სხვადასხვა სახის შეკითხვებზე გაცემულ პასუხებს, რომელიც ჯანსაღი ცხოვრებისა და სოციალური მომსახურების ფონდის მხრიდან გაკეთებულმა კვლევებმა ცხადყო:

რა ვაბედნიერებს?

„ოჯახის სიმშვიდე. სახლი რომ გვკონდეს ბედნიერი ვიქნები.“ (ემინე 11)

„როდესაც ვინმე საჩუქარს მჩუქნის ეს მაბედნიერებს.“ (ეუბ 11)

„თუ მამა ველოსიპედს მიყიდის ბედნიერი ვიქნები.“ (სილა 10)

„ერთ მოხუც დეიდას ან ბიბიას რომ მძიმე ჩანთის წადებაში დავეხმარო ბედნიერი ვიქნები.“ (სილა 10)

„მე, სოფელში რომ წავიდე ბედნიერი ვიქნები. ველოსიპედი რომ მყავდეს ბედნიერი ვიქნები.“ (მეკმეთ 11)

„უფროსებს რომ მოვინახულებ“ (ფინარ 13)

რა ვაუბედურებს?

„თუ წიგნიდან, რომელსაც ვკითხულობ ვერაფერი გავიგე, ეს ძალიან მწყინს“ (სუნან 12)

„როცა ადამიანებს ვძულვართ. როცა მეგობარს ჩვენი შურს“ (ფაბმა 9)

„დედა რომ დაიღლება, მე ამას განვიცდი“ (სილა 10)

„სკოლაში რომ ვერ მივდივარ და მეგობრებთან ვერ ვთამაშობ ამას განვიცდი“ (ნურსელ 11)

„სკოლას რომ ვშორდები განვიცდი. დედას რომ ვშორდები ამასაც განვიცდი“ (ვფდათ 10)

როცა გაიხილავი რის გააყოფბ?

„ქუჩაში დარჩენილ, მშიერ და იქ მომუშავე ბავშვებს დავეხმარები. სახლი ვისაც დანგრია, ქუჩაში დარჩენილ ადამიანებს დავეხმარები“ (სავაშ 9)

„როცა გავიზრდები, თუ მდიდარი ადამიანი ვიქნები, მაშინ ღარიბ და ავადმყოფ ადამიანებს დავეხმარები“. (ფატმა 9)

„მოხუცებისა და ბავშვების თავშესაფარს გავაკეთებდი და ქუჩაში მომუშავე ბავშვებს და სხვა ადამიანებს გადავარჩენდი“. (სინან 12)

„მე მინდა ჩემი ქვეყანა განვითარებული ქვეყნების დონეზე ავიდეს და ჩემს ხალხს კეთილდღეობა ჰქონდეს. ამ ოცნების გარდა, სიბერის დროს მინდა რომ სოფელში წავიდე, ფერმა გავაკეთო და სიბერის წლები ცხოველებთან ერთად გავატარო“. (სერჰათ 13)

„მე მინდა მქონდეს ჩემი სახლი. მინდა ჩემ ქმარსაც კარგი სამსახური ქონდეს. მინდა ბედნიერი ვიყო. მინდა ჯანმრთელი შვილი გამიჩნდეს. მსურს კარგად გავზარდო ბავშვები. კიდე მინდა რომ ჩემი შვილების გაკვეთილებს კარგად სწავლობდნენ.“ (სილა 10)

„მინდა ბევრი წიგნი ვიკითხო და პოეტი გავხდე“ (ეუბ 11)

„მინდა ძალიან საყვარელი კურდღელი მყავდეს“. (შილან 8)

„როცა გავიზრდები სიირთში მინდა გადავსახლდე, რადგან იქ ვარ დაბადებული“. (დილან 9)

„მე მინდა თვითმფრინავში ჩავჯდე, რადგან საერთოდ არ ჩავმჯდარვარ“. (დილან 9)

ზაღშეთა უფლებების სენებისას რა ვახსენდებათ?

„განათლების მიღება ბავშვის უფლებაა“. (ემინე 11)

„ოჯახის ბედნიერება ავშვის უფლებაა“. (სინან 12)

„ბავშვთა უფლებებზე მახსენდება ის, რომ ზოგი ბავშვი ბედნიერია, ზოგი კი უბედური. (ფატმა 9)

„ცხოველების სიყვარული“. (ეუბ 11)

„სასურველი ტანსაცმლის ჩაცმა“ (სილა 10)

„18 წელზე ნაკლები ასაკის არცერთი ბავშვი არ უნდა მუშაობდეს“ (სერჰათ 13)

„საზაფხულო არდადეგების დროს სოფელში წასვლა“ (მახლუმ 8, ვედათ 10, მეჰმეთ 12)

„ოჯახშეები არ უნდა სცემონ“. (მეჰმეთ 11)

„ჯანმრთელობა. მშობლებმა კარგად უნდა გაზარდონ“ (ფინარ 13)

„ბავშვებმა იმდენხანს უნდა იძინონ, რამდენიც სურთ.“ (სეფა 13)

„ ბავშვი რომ მშობლებს რამეს თხოვს მაშინვე უნდა შეუსრულონ“ (გამზე 12)

ოჯახის სსენებისას რა ვასსენდებათ?

„დედიკო რომ საჭმელს მიკეთებდა“ (სილა 10)

„დედიკო და მამიკო რომ ლოცულობდნენ“ (ეუბ 11)

„ბავშვებს რომ სხეების შურთ ის მასსენდება. სხვაგან რომ რაღაცას დაინახავენ და მერე მამას რომ თხოვენ მიყიდეთ“. (დილან 9)

სინამდვილეში რომ დავაკვირდეთ ბავშვების მიერ ნათქვამში არის საიმისო მინიშნებები თუ როგორ უნდა გადაიჭრას აღნიშნული პრობლემა. ისინი თავად ამბობენ ამ პრობლემების გადაჭრის გზებს.

რა უნდა გაყოფს?

სინამდვილეში, ქუჩაში მცხოვრები ან მომუშავე ბავშვები სულაც არ წარმოადგენენ პრობლემას. რეალურად პრობლემა სიღარიბე, გაუნათლებლობა, ქალაქის მოსახლეობის ჭარბი ზრდა, მიგრაცია, ზნეობრივი პრობლემები და სხვა მსგავსი რამეებია. გამომდინარე აქედან, ამგვარი პრობლემების გადაჭრა კომპლექსური მიდგომით, სწორი სოციალური და პოლიტიკური გადაწყვეტილებებითაა შესაძლებელი.

ბავშვები მრავალი სიძნელისა საფრთხის წინაშე საზოგადოების ყველაზე დაუცველი ფენაა. ბავშვებს არ შეუძლიათ გავლენა იქონიონ საზოგადოებრივ პროცესზე, რომელიც მათ ცხოვრებაზე გავლენას ახდენს და საზოგადოებისგან მომდინარე მავნე ზეგავლენების წინააღმდეგ ბრძოლის შესაძლებლობებიც ნაკლებად გააჩნიათ.

დღევანდელი თურქეთი ამ თვალსაზრისით კარგ მდგომარეობაში ითვლება, რადგან ყველაფერის მიუხედავად ოჯახის ინსტიტუტი ძლიერი ფორმითაა შენარჩუნებული. ადამიანები ბავშვების მიმართ მგრძობიარენი არიან. კარგ მდგომარეობად ითვლება, რადგამ მდგომარეობა ისე არ არის დამძიმებული, როგორც ზოგიერთ სხვა ქვეყანაში.



ამ ყველაფერის მიუხედავად, უკანასკნელ წლებში ქუჩის ბავშვების რაოდენობამ და მათდამი ყურადღებამ საგრძნობლად იმატა. ამაში ცაბმულია მედია საშუალებები. დაიწყო ზოგიერთი პროექტის განხორციე-

ლება, რომლებიც ამ კატეგორიის ბავშვების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. ტარდება კვლევები, რომელთა მიზანია მდგომარეობის გაანალიზება და გაცნობიერება, ამგვარი ბავშვების ოჯახების შესახებ მეტი ინფორმაციის მიღება, სარეაბილიტაციო პროგრამების დანერგვა და სხვა.

როდესაც ბავშვს არ ჰყავს მშობლები ან ჰყავს, მაგრამ მშობლის მოვალეობებს არ ასრულებენ, ამ შემთხვევაში ახლობლები იღებენ პასუხისმგებლობას, ხოლო თუ არც ისინი აიღებენ ამგვარ პასუხისმგებლობას თავზე ან უბრალოდ ამგვარი ახლობელი არ არსებობს, მაშინ ყველაფრის პასუხისმგებელი სახელმწიფოა. სადაც სახელმწიფო არ უზრუნველყოფს ბავშვთა უფლებებს, იქ ეს უფლებები პიროვნებებმა უნდა დაიცვან. პიროვნებები ამ უფლებებს იცავენ ან ინდივიდუალური მოწადინების ხარჯზე, ან კიდევ სხვადასხვა საქველმოქმედო ფონდების საშუალებით.

ჩვენ, როგორც მუსლიმები, ჩვენი გარემოს მიმართ, ყოველი მიმართლებით პასუხისმგებელნი ვართ. წარმოიდგინეთ რამდენი შრომა და ფინანსები იხარჯება ბუნებრივი გარემოსა და ცხოველთა სამყაროს დაცვაზე და აქედან გამომდინარე უნდა ვიცოდეთ, რომ საზოგადოების წევრების გაჭირვება,

მითუმეტეს ბავშვებისა ჩვენი დიდი საზრუნავია.

ჩვენი სარწმუნოება ნათლად გვასწავლის თუ როგორ უნდა მოვიქცეთ მსგავს შემთხვევებში, რა უნდა გავაკეთოთ და რა დებულებებით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

ეს ბავშვები ღმერთის მიერ მობარებული ამანათი არიან. მათ მიმართ მზრუნველობის გამოჩენა ეროვნული, ადამიანური და რელიგიური ვალდებულებაა. ღმერთი ყურანში ბრძანებს, რომ ყურადღება მივაქციოთ თბილ და უპატრონო ბავშვებს:

„სააქაო და საიქიო ცხოვრებაზე! და გეკითხებიან ისინი თბილებზე. უპასუხე შენ: მათზე ზრუნვა კარგია. ხოლო თუ საქმეში შეეზავებით ერთმანეთს, ისინი ძმები არიან თქვენი. ალლაჰი განარჩევს კეთილისმყოფელს ავისმყოფელისგან. და თუ ალლაჰი ინებებს, გასაჭირში ჩაგაგდებთ. უეჭველად, ალლაჰი ძლევამოსილია, ბრძენია!“ (ბაქარა 220)

„იცი თუ არა, რა არის დაბრკოლება?

(დაბრკოლების გადალახვაა) მონის გათავისუფლება

ან დაპურება გაჭირვების ჟამს

ნათესავი თბილისა

ან გაღატაკებული უპოვრისა!“ (ბელედ 12-16)

შუამავალმა პირადი მაგალითით აჩვენა ყველას თუ როგორ უნდა იზრუნოს ადამიანმა მათზე, ვისაც უჭირს და დახმარება სჭირდება. ის ამისკენ მოუწოდებდა ყველას და ურჩევდა, რომ მზრუნველობა გამოეჩინათ ბავშვების მიმართ, მოფერებოდნენ, დაეპურებინათ, რადგან სწორედ ამგვარად აუმაღლდებოდათ ადამიანებს შემწყნარებლობის უნარი.

შუამავალი ბრძანებდა:

„ქერივ და ობლებს ვინც დაეხმარება ეს იგივეა, რომ ადამიანმა ღმერთის გზაზე იბრძოლოს ან დღისით იმარხულოს და ღამეები ღვთისმსახურებაში გაატაროს.“ (ბუჰარი, ნაფაჰათ, 1)

ერთ ერთ სხვა ჰადისში ვკითხულობთ: „ვინც ნათესავის ან არანათესავის უპატრონოდ დარჩენილი ბავშვის მზრუნველობას საკუთარ თავზე აიღებს სამოთხეში მე და ის ასე გვერდიგვერდ ვიქნებით“ (ბუჰარი, თალაჟ, 25)

ქუჩაშ მცხოვრების ბავშვების პრობლემების მოგვარებისათვის მხოლოდ შესაბამისი უწყებების გადაწყვეტილებები და ღონისძიებების გატარება საკმარისი არ

იქნება. ამ მცდელობის ეფექტურობისათვის ყველაზე სერიოზული ძალა საზოგადოებრივი ჩართულობაა. საჭიროა თითოეულმა პიროვნებამ აიღოს ვალდებულება და იგრძნოს პასუხისმგებლობა. დღეს, როცა გაცილებით გართულდა საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევა, როცა გულგრილობა უფრო და უფრო მატულობს, ძნელია საზოგადოებას საერთო პასუხისმგებლობა აგრძნობინო რაიმეზე და კონკრეტული ქმედებების განხორციელება შეაძლებინო, მაგრამ შეუძლებელი არ არის.

შუამავალი ბრძანებდა, რომ თუ ვინე სადმე ბოროტებას გადაეყრებოდა უნდა ჩარეულიყო და ხელით გამოესწორებინა ცუდი საქმე. თუ ხელით ვერ შეძლებდა ამას, ენით უნდა გაეპროტესტებინა და წინააღმდეგობა გაეწია, ხოლო თუ არც ენით შეეძლო რაიმის გამოსწორება გულით მაინც უნდა დაეგმო ბოროტება. (მუსლიმ, იმან 78) ამ ჰადისიდან აშკარად ჩანს, რომ საზოგადოებრივი სიჯანსაღისათვის ყველა ადამიანი აქტიურად უნდა მონაწილეობდეს. ეს ყველა ადამიანისთვის მოქალაქეობრივი ვალია. განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ეს მომავალ თაობას, ბავშვებს ეხება, პასუხისმგებლობა გაცილებით უფრო დიდია.

აღნიშნული პრობლემის მოგვარების მცდელობისას ზოგჯერ ისეთი ტენდენცია

იკვეთება, თითქოს ამ ყველაფრის ძირითადი მიზანი, ამ ბავშვების მიერ შეწუხებული საზოგადოების გადარჩენა იყოს. კეთდება გეგმები, რომლის მიხედვითაც ამ ბავშვებს ქალაქისგან მოშორებით თავშესაფრებში ათავსებენ, სადაც მკაცრი კონტროლის ქვეშ ცხოვრობენ. არადა ამ ყველაფრის მიზანი ბავშვებისთვის ბავშვობის დაბრუნება, ასაკის შესაბამისი ცხოვრების სტანდარტების და პირობების უზრუნველყოფა და საბოლოო ჯამში მათი საზოგადოებისთვის სასარგებლო წევრებად ჩამოყალიბება უნდა იყოს. ამ ყველაფრის მიღწევისათვის კი გადამწყვეტი როლი განათლებას გააჩნია. საჭიროა როგორც ამ ბავშვების, ისე საზოგადოების განათლება. სამწუხაროდ დღევანდელი მიდგომები ამ აუცილებელ სტანდარტს არ აკმაყოფილებს და როდესაც საუბარია ქუჩაში მცხოვრებ ან ქუჩაში მომუშავე ბავშვებზე ადამიანები ფიქრობენ, რომ საკმარისია მათი დაცვა და გამოკვება. შესაბამისად მხოლოდ ამ მხრივ ხდება სიტუაციის განვითარება. ბავშვებს აჭმევენ, ასმევენ და ტავშესაფარში აცხოვრებენ, არადა მათ უპირველეს ყოვლისა ნდობა, უსაფრთხოების განცდა და სიყვარული სჭირდებათ.

ქუჩის ბავშვების პრობლემების გადაჭრის პროცესში, საჭიროა, ერთის მხრივ უკვე ქუჩის ბავშვებად წოდებულ ნაწილზე

დახმარების გაწევა, ხოლო მეორეს მხრივ ყურადღება უნდა მიექცეს ქუჩის ბავშვობის პოტენციურ კანდიდატებს და უნდა გატარდეს პრევენციული ზომები. ამ მიმართლებით ჯერ კიდევ ოჯახებში მცხოვრები ბავშვებისთვის, რომლებიც შესაძლოა ქუჩაში აღმოჩნდნენ, საჭიროა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, განათლების ხელშეწყობა, კვების საკითხებში დახმარება და სხვა. ხოლო უკვე ქუჩის ბავშვებად წოდებული ბავშვებისთვის საჭიროა საცხოვრებლის შექმნა, საკვები, ჯანდაცვა, სამუშაო შესაძლებლობები და სხვა. გამომდინარე აქედან გამოსავალი ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

ქუჩაში მოსახვედრად რისკ ჯგუფში შემავალი ბავშვებისათვის საჭიროა პრევენციული ზომების გატარება.

უკვე ქუჩაში მცხოვრები ბავშვებისათვის კი საჭიროა სარეაბილიტაციო ზომების მიღება.

საზოგადოება რომ გათვითცნობიერდეს და აღნიშნული პრობლემის მიმართ უფრო მგრძობიარე გახდეს, საკითხით დაინტერესებული ერთეულების მხრიდან კომპლექსური და შეთანხმებული მოქმედებებია საჭირო და ამასთანავე ადამიანური და ექონომიკური რესურსები ეფექტურად უნდა იქნას

გამოყენებული, რაც პრობლემის მოგვარების დაჩქარებას ხელს შეუწყობს. ხშირად ერთი და იგივე მიზნის მქონე ორგანიზაციები ერთმანეთთან კომუნიკაციის გარეშე მოქმედებენ და ამ დროს ტყულად იფლანგება როგორც ადამიანური რესურსები, ისე ფინანსები. არადა ამგვარი ორგანიზაციების კოორდინირებული მუშაობის შედეგად პროცესის სწორად დაგეგმარება იქნებოდა შესაძლებელი და შესაბამისად ადამიანური რესურსებისა და ფინანსების გამოყენებაც ეფექტური იქნებოდა.

რადგანაც პრობლემის სათავე ოჯახიდან მოდის, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ოჯახის მიმართულებით მუშაობას, პრევენციული ღონისძიებები იქნება ეს, დამცავი თუ განმავითარებელი. ამ მიმართულებით კარგი შედეგის მომტანია ბავშვის ოჯახში დაბრუნება და ბავშვთან ერთად ოჯახზე დახმარება, რაც დამატებით სხვა დადებით შედეგებს იძლევა.

ოჯახების და მშობლების, განსაკუთრებით კი დედების უფრო მეტი გათვითცნობიერებისათვის ბავშვის წორად აღზრდასა და მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ სასურველია იზრუნონ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებმა და საქველმოქმედო ფონდებმა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აღმზრდელობითი მიდგომების, ბავშვის გან-

ვითარებისა და ფსიქოლოგიის, მანეჟმენტის, კომუნიკაციის და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გაცნობიერება და პრაქტიკაში გამოყენება. როცა დედას აქვს მეტი ინფორმაცია ის უფრო ძლიერია და შესაბამისად უფრო მედგრად ებრძვის ყველა იმ პრობლემას, რაც მოსი შვილის წინაშე შეიძლება დადგეს.

ქუჩაში მცხოვრები და ნარკოდამოკიდებული ბავშვებისთვის უნდა მოქმედებდეს სარეაბილიტაციო ცენტრები. ამ პრობლემის წინაშე პიროვნებები ვერაფერს გახდებიან. აქ სახელმწიფო უნდა ჩაერიოს და საკითხს კომპლექსურად მიუდგეს.

სახლიდან გაქცეული ბავშვების შემთხვევაში მთავარია სწრაფი რეაგირება. რაც შეიძლება სწრაფად უნდა იქნას ასეთი ბავშვები აღმოჩენილი, სანამ ქუჩის საფრთხეები მათზე სერიოზულად იმოქმედებდნენ და ან ოჯახებში, ან კიდევ თავშესაფრებში უნდა მოთავსდნენ. ამ პროცესში მნიშვნელოვანია ოჯახთან დაკავშირება და იმის გამოკვლევა თუ რატომ გაიქცა ბავშვი ოჯახიდან. თუ გაქცევის მიზეზი ოჯახური ძალადობა და ჩაგვრაა, მაშინ ბავშვის ოჯახში დაბრუნების მცდელობა მის წინააღმდეგ შეიძლება იქნას გამოყენებული.

ქუჩაში სისტემატიურად დარჩენილი ბავშვებისთვის უპირველეს ყოვლისა თავაშე-

საფარი უნდა მოიძებნოს, სადაც შესაძლებელი იქნება ელემენტარული ჰიგიენური პირობების დაცვა, კვება და ჩაცმა. ასევე მნიშვნელოვანია გართობისა და დასვენების შესაძლებლობები.

ქუჩის ბავშვებისთვის განათლება არის ის საჭიროება, რომელიც მათი ქუჩიდან გათავისუფლებისა და მომავალი ცხოვრების დაგეგმვაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. განათლება მათთვის მხოლოდ სკოლაში სიარულს არ გულისხმობს. ქუჩაში თავისუფლად ქცევას მიჩვეული ბავშვები სკოლის წესრიგსა და რუტინას ძნელად ეგუებიან. გარდა ამისა, როგორც წესი ქუჩიდან სკოლაში მიყვანილი ბავშვები თავიანთ კლასელებთან შედარებით ასაკით უფროსი არიან და ეს მათი გაუცხოების მიზეზი ხდება. ამ ყველაფრის გათვალისწინებით საჭიროა განათლების მიღების ალტერნატიული მეთოდების შექმნა. განათლებისა და აღზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი კი ქცევისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ დამოკიდებულების განვითარება უნდა იყოს.

ქუჩის ბავშვების გამოკითხვისას ჩანს, რომ მათი უმრავლესობა სარეაბილიტაციო პროგრამისგან ახალი პროფესიის შეძენას და სამსახურის დაწყებას ელოდება. სამსახურის შოვნა რომ გაუადვილდეთ საჭი-

როა მათი პროფესიულ სასწავლებლებში გადამზადება. ბუნებრივია, მაშნ როცა ჩვეულებრივ პროფესიულ და უმაღლესგანათლებულებს უჭირთ დასაქმება, ამ ბავშვებისთვის ეს განსაკუთრებით დიდ სირთულეს წარმოადგენს. არადა მათი დასაქმება არამარტო მნიშვნელოვანია მათი მომავალი ცხოვრებისთვის, ისე საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოებისთვის.

ქუჩის ბავშვებიდან ყველაზე ძნელად სამუშაო ჯგუფი ის კატეგორიაა, რომლებიც ნარკოტიკებს ან მსგავს ნითიერებებსაა შეჩვეული. მათი გამოსწორება და ძირეული რეაბილიტაცია განსაკუთრებით რთულია და შესაბამისი ორგანიზაციების დიდ მუშაობას მოითხოვს. კლინიკაში მკურნალობის შემდეგ საზოგადოებასთან მათი ურთიერთობა და სოციალური ინტერგაცია მეორე მნიშვნელოვანი ეტაპია.

პრევენციული ზომების დაგეგმვისას ყველაზე მნიშვნელოვანია მოისპოს ამგვარი ტენდენციის მიზეზები ანუ უპირველეს ყოვლისა რაც შეიძლება ნაკლები ბავშვი უნდა მოხვდეს ქუჩაში. საამისოდ კი საჭიროა ოჯახებთან მჭიდრო ურთიერთობა, კვლევების ჩატარება და ბავშვებისთვის შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა.

თუ ჩვენ არ დავადგენთ, რატომ ხდებიან იძულებული ბავშვები, რომ იმუშაონ და

ამის გამომწვევ მიზეზებს არ აღმოვფხვრით, ან კიდევ ბავშვებისთვის შესაფერის სამუშაოს არსებობას შევზღუდავთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი არასწორ ადგილას დასაქმდებიან და დაკავდებიან ისეთი ცუდი საქმიანობით, როგორცაა პროსტიტუცია, ნარკოტიკების გაყიდვა, მძიმე სამუშაოს შესრულება და სხვა.

რაც შეეხება სამართლებრივ ღონისძიებებს, უწყებებმა ის ოჯახები უნდა გააფრთხილონ, რომლებიც ბავშვებს მუშაობას აიძულებენ და ყოველმხრივ შეეცადონ ბავშვები შეუფერებელი სამუშაოდან გაათავისუფლონ. შემდეგი ეტაპი კი იმ ოჯახების რაიმე ფორმით დასჯა უნდა იყოს, რომლებმაც არ გაითვალისწინეს გაფრთხილება და ბავშვების ქუჩაში სამუშაოდ გაგზავნა გააგრძელეს. თუმცა მანამდე, სანამ ოჯახების დასჯას გახდება საჭირო, სახელმწიფომ და საზოგადოებამ თავისი ვალდებულება უნდა შეასრულოს ასეთი ოჯახების მიმართ. სახელმწიფომ და საზოგადოებამ ოჯახები არ უნდა მიატოვოს გაჭირვების, გაუნათლებლობის, დაუსაქმებლობის და მსგავსი ნეგატიური მოვლენების პირისპირ. ამ ყველაფრის გარეშე პირდაპირ სამართლებრივი სახდელების დაწესება არც ადამიანის უფლებებთან იქნება შესაბამისობაში და არც ჩვენს სარწმუნოებასთან.

ყველა იმ საჭირო ღონისძიების სია, რომლებიც პიროვნებებმა, საზოგადოებამ და შესაბამისმა ორგანიზაციებმა უნდა გააკეთონ, შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

ბავშვების სწავლის გაგრძელების უზრუნველყოფა და სამომავლოდ პროფესიის შექმნა.

ფიზიკური და სულიერი თვალსაზრისით ჯანსაღად აღზრდა. სწორი და საკმარისი კვება.

ბავშვების გრძნობების სწორი განვითარება, უნარების წარმოჩინება და განვითარება, საკუთარი თავის რწმენის ჩამოყალიბება და თვითგამოხატვის მცდელობისას დახმარება.

იმ ოჯახების საცხოვრებლად ვარგისი პირობებით უზრუნველყოფა, სადაც ეს ბავშვები ცხოვრობდნენ.

იმ ბავშვებისთვის, რომელთა ოჯახებში დაბრუნება შეუძლებელია უნდა შეექმნათ ყოველგვარი ფიზიკური და ფსიქოლოგიური მოთხოვნილებების უზრუნველყოფის პირობები.

იმ ბავშვებისათვის მკურნალობის და სარეაბილიტაციო ღონისძიებების გატარება,

რომლებიც ნარკოტიკს და სხვა მსგავს მანვე ნივთიერებების მიღებასაა მიჩვეული.

ოჯახების გათვითცნობიერება საიმისოდ, რომ განათლება მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ასევე ინფორმაცია უნდა მიეწოდოთ ქუჩაში არსებული რისკების შესახებ. ასევე მნიშვნელოვანია მეურვეების, განსაკუთრებით კი დედების საკითხთან დაკავშირებულ საკითხებში გათვითცნობიერება.

საზოგადოებისთვის პრობლემასთან დაკავშირებით ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება. ამ მიზნით სახელმწიფოსა და არასამთავრობო სექტორის კოორდინირებული მუშაობა.

საზოგადოებაში მოხალისეობრივი შეგნების ამაღლება და გავრცელება.

ქუჩაში მცხოვრების ბავშვების პრობლემებზე მუშაობისას ზოგიერთი მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინება აუცილებელია:

ისინიც სხვა ბავშვების მსგავსად ბავშვები არიან და სხვა ბავშვების მსგავსი უფლებები გააჩნიათ. მათ თანაგრძნობის და სიბრალულის მაგივრად პასუხისმგებლობით მოკიდება სჭირდებათ.

თავშესაფარი რაც არ უნდა კარგი იყოს იდეალური გამოსავალი არ არის. უპირვე-

ღეს ყოვლისა ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ ბავშვებმა საკუთარ ოჯახებში იცხოვრონ.

ისინი რისკ ჯგუფში არიან დანაშაულისა და მავნე ჩვევების მიმართ, მაგრამ ყველა მათგანი არც დამნაშავეა და არც მავნე ნიმიტიერებებს მოიხმარს.

ამ მიმართულებით მომუშავე ადამიანები, ოფიციალური პირები იქნებიან თუ მოხალისეები, ფიზიკური და მორალური თვალსაზრისით დაცულნი უნდა იყონ. ზედმეტი მგძნობელობა და სიახლოვე მომუშავე პირის ძალების ამოწურვას გამოიწვევს და საბოლოოდ მოვლენის მიმართ გულგრილი დამოკიდებულება ჩამოუყალიბდება.

ბავშვებისთვის გაწეული მთელი აქტივობების პროცესში აუცილებელია თავად ბავშვებმაც მიიღონ მონაწილეობა. საჭიროა მათი შეხედულებების გათვალისწინება, რაც მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებას გააიოლებს და შედეგიც უფრო ხანგრძლივი იქნება.

აღნიშნული სფერო სამუშაოდ და წარმატების მისაღწევად საკმაოდ ძნელ სამუშაო პროცესს მოითხოვს. პროცესში ჩართულმა ყველა პირმა უნდა იცოდეს, რომ მრავალ სირთულესთან ექნებათ საქმე. ეს

ენება როგორც ბავშვებს და ოჯახებს, ისე იმ ადამიანებს, რომლებიც მათ დახმარებას ცდილობენ.

ქუჩის ბავშვებთან მუშაობისას მოხალისეობის მცნება ნათლად უნდა იქნას განმარტებული. ამ თვალსაზრისით ორი რამ არის მნიშვნელოვანი: კარგად ვიცოდეთ საკუთარი თავი, შესაძლებლობები და ვიცნობდეთ ბავშვებს და ამასთანავე პროცესის სისტემატიურობა.

ბავშვებთან და მათ ოჯახებთან მუშაობისას, მათი ნდობის მოპოვება და კონსტრუქციული ურთიერთობის ჩამოყალიბება მხოლოდ სისტემატიური მუშაობის შედეგადაა შესაძლებელი. ხშირად ის პირები და ორგანიზაციები, რომლებიც ამ კატეგორიის ბავშვებს ფინანსურად ეხმარებიან, კმაყოფილდებიან იმით, რომ მათ წინ მჯდომი ბავშვი სუფთადაა ჩაცმული და გემრიელი საჭმლით სავსე თეფში უდგას. არადა პრობლემის მოგვარების ძირითადი მიზანი ბავშვის ოჯახში დაბრუნება და ოჯახში შესაბამისი პირობების შექმნა უნდა იყოს. ამ ყველაფერს კი, უპირველეს ყოვლისა, სიყვარული, ყურადღება და ნდობა სჭირდება. ეს კი მხოლოდ სუფთა ტანისამოსით, საჭმლითა და ფულით არ მიიღწევა.

საზოგადოების და პიროვნების მიერ დაკისრებული მოვალეობის შესრულება სი-

ნამდვილეში ნების და რწმენის საკითხია. მოხალისეობა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე პროფესიონალის მსგავსად დისციპლინირებულ მუშაობას მოითხოვს. თუმცა, სამწუხაროდ ხშირად ხდება, რომ მოხალისეები მხოლოდ იმით შემოიფარგლებიან, რომ სურვილის შემთხვევაში ერთჯერადად იღებენ მონაწილეობას დახმარებაში. ადამიანი საკუთარი მოვალეობის შესრულებისას მოხალისე ვერ იქნება. საკუთარი ბავშვის აღზრდის საქმეში მოხალისედ ვერ ჩაითვლება. ბავშვის აღზრდა ყოველი მშობლის მოვალეობაა. თუნდაც ქუჩაში დაგდებული ნაგვის აწევა რომ წარმოვიდგინოთ. არც ნაგვის აწევის შემთხვევაში იქნებით მოხალისე. ესეც მოვალეობაა. თუ ამას შესაბამისი სამსახურები არ ასრულებენ უნდა აიძულოთ, რომ შეასრულონ, ხოლო თუ მაინც არ შეასრულებს, გარემოს სისუფთავის დაცვა მაინც თქვენი მოვალეობაა. ჩვენი სარწმუნოების წმინდა წყაროებში ამგვარი ქცევა ადამიანების მიმართ მოვალეობის შესრულებად ითვლება და უფრო მეტიც, ის რწმენისეულ საჭიროებადაა მიჩნეული.

„რწმენა სამოცამდე ნაწილისგან შედგება. ამათგან ერთ-ერთი, ადამიანებს რაც აწუხებთ იმის გამოსწორებაა. ამ თვალსაზრისით გზაზე დაგდებული ქვის აწევა რწმენის გამოვლინებაა“. (ბუჰარი, იმან, 3)

„თქვენს ქონებაში ღარიბ-ღატაკებს თავიანთი წილი გააჩნიათ“. (ზარიათ 51/19)

მსოფლიო მაგალითებისგან განსხვავებით ჩვენს ქვეყანაში შედარებით უკეთესი მდგომარეობაა. ოჯახური ინსტიტუტი ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერია, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მიზანმიმართული შეტევა მიდის საზოგადოების ოჯახის, როგორც ძირითადი საფუძვლის მიმართ. ამ მხრივ დიდი როლს თამაშობს ჩვენი ტრადიციები, რწმენა, ღირებულებებისადმი პატივისცემა და სხვა მსგავსი ფაქტორები, რაც საბოლოო ჯამში ამ და სხვა სოციალურ პრობლემებს მეტნაკლებად აგვარებს.



„ამისთვის დაეუწერეთ ისრაილის შვილთ, რომ ვინც მოჰკლას ადამიანი არა ადამიანის წილ და არა ქვეყანაზე უკეთურობის გასაწმენდად, თითქოსდა მთელი ხალხი ამოეწყვიტოს. და ვინც ადამიანს სიცოცხლეს შეუნარჩუნებს, თითქოსდა მთელი ხალხისთვის შეენარჩუნებინოს სიცოცხლე.“ (მაილ 32) როგორც ხედავთ ერთი ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნება მთელი კაცობრიობის სიცოცხლის შენარჩუნებას ნიშნავს.

მითითებები

ნუ შეგეშნდებათ მათი. მხოლოდ ყურადღებით იყავით.

ე.წ. სალფეტკის ან რაიმე წვრილმანის ყიდვით ან ფულის ჩუქებით უფრო ნუ მიაქვავთ ქუჩას.

ყურადღება მიაქციეთ თქვენი უბნის ბავშვებს. თუ რაიმე საგანგაშოს შენიშნავთ მშობლები გააფრთხილეთ.

ეცადეთ დაასაქმოთ. დაეხმარეთ, რომ რაიმე პროფესიას დაეუფლონ.

სახლი, რომელსაც არ იყენებთ, ტანსაცმელი და სხვა ნივთები რომლებიც არ გჭირდებათ საქველმოქმედო ორგანიზაციებს შესწირეთ.

გახსოვდეთ, არსებობენ ბავშვები, რომლებსაც ცოდნის შეზენაში დაეხმარებით.

იპოვეთ ისინი.

„ღიმილი მოწყალებაა“. ნუ დაიშურებთ მათთვის ღიმილს.

გიყვარდეთ ბავშვები. დაიცავით მათი ოჯახები.

ყველას მოუწოდეთ შეასრულონ საზოგადოებრივი ვალდებულებები; მეზობლებს, მეგობრებს, ახალგაზრდებს.

გახსოვდეთ, რომ აუცილებლად არსებობს რაღაც, რასაც თქვენ შექმნებთ. მოძებნეთ ის რაღაც და გააკეთეთ.

მადლიერნი იყავით იმისათვის, რაც გაგაჩნიათ.

12 წლის მუსყაჟა ამბობს:

„ ქუჩაში მუშაობა არ მინდა. როდესაც ჩემი ტოლები უბანში უდარდელად თამაშობენ, ან ქუჩაში თავისუფლად დასეირნობენ, მე ამ დროს ფეხსაცმელებს ვღებავ და ეს სულაც არ მინდა. ხშირად ვფიქრობ ჩემთვის, ჩემსა და მათ შორის რა არის განსხვავება. ხშირად ვოცნებობ. ვიცი რომ ჩემი ოცნებები არ ახდება“.

ფოლქს (17)

შენ თუ იცი ქუჩის ბავშვები?

უდედოდ, უმამოდ... ხიდის ქვეშ შეყუჟულე-
ბი...

ქუჩის კუთხეში...

შენ კი საწოლში...

დედის კალთაში...

ოს კი მარტოა ქუჩაში.

ამ შეუბრალებელი სამყაროს

ფეხქვეშაა გათელილი

ასაწყალი ქუჩის ბავშვისთვის

ერთ წვეთ ცრემლს არ გაიმეტებ?

ჩვენს ქუჩაზე არ ჩამოივლი?

9 წლის ა. გ. თავის გონსობებს შემდეგნაირად გად-
მოგიყვას:

„მე მინდა სამოთხეში მოვხვდე. იქ ჩიტე-
ბი და პეპლები არიან და ნაირფერადი ყვა-
ვილები სასიამოვნო სურნელს აფრქვევენ.
მინდა, იქ ყველანაირ ხილი ვჭამო: ვაშლი,
ფორთოხალი, ბანანი, კივი, ყველანაირი ხი-
ლი... მინდა ლამაზი ზღაპრები წავიკითხო.

არ მინდა ფეხსაცმლის მღებავი ვიყო.
დაჯდომა და დასვენება მინდა. მინდა დავწ-
ვე და კარგად დავიძინო. წიგნების კითხვა
მინდა. თუ სკოლა დავამთავრე, მინდა ექიმი
გავხდე.

გარეთ თოვს. მცვივა.“

„ისინი კითხვებს სვამენ? არა. არ სვამენ. აი იმ ცნობილ ბავშვურ შეკითხვებს...

ყველა შეკითხვის პასუხი ხომ შეკითხვამდე გაცემულია.

ეს ქუჩები, ეს ქალაქები ბევრს აიტანს კიდეც.

მათ არ უყვართ ზღაპრები. იციან, რომ ზღაპარი ზრავარია.

...ამ სიჩუმეში, ტროტუარებიდან, ასფალტიდან, ზარებიდან და მინარეთებიდან სუსტი და ფერმკრთალი სხეულები ამოდის და სწრაფად უახლოვდება გაჩერებულ მანქანას. შევეყურებ ნირწამხდარი. სწრაფად მოძრავი თვალები, უყოყმანოდ, ძაღდაუტანებლად მაკავებენ ამ შუალამისას...

არ ვიცი რა გავაკეთო. როგორ მოვიქცე. შექნიშანზე კი წითელი შეუქი ჯიუტად ანთია. თვალები... ოდნავი სითეთრეც კი არ აქვთ ისეთი მუგუზალივით შავი თვალები მომაპყრო. დიახ, ახლა, ამ დროს, მე თქვენს წინაშე ვარ!

ვინ არიან ეს ბავშვი და ეს ქალი? როდესაც მას ეძინა დაოფლილ თმებზე თუ უკოცნია ვინმეს ნეტა? წვიმიან ამინდში სკოლის კარებთან თუ მისულა დედა ქოლგით და მოსაცმელით ხელში, უზადო მზუნველო-

ბაჩამდგარი თვალებით გაღიმებული? რომელიმე დღესასწაულზე დილით ბალიშთან თუ დახვედრია საყვარელი სათამაშო, ღამაზ ყუთში მოთავსებული? ნეტა თუ აქვს ასეთი ერთი მომენტიც კი, რომ მე ამ შუადამისას მიშველოს და მანუგეშოს?

უკვე საუკუნე გავიდა და შუქნიშანზე მწვანე არ ჩანს. უკვე მახრჩობს ეს წითელი და შავი ფერები. ის ჩემს თვალებში ჩამდგარ სისველეს უყურებს. თითქოს აფურთხებს შიგნით. უკვე იმის გაბედულებას აღარ გამაჩნია ჩანთიდან რამე ამოვიღო და მივაწოდო. ვგრძნობ როგორ ვეცემი და ვეშვები უფსკრულისაკენ...

მწვანე შუქთან ერთად მთელი ქუჩა გავეშებული დაიძრა ველური ხარებივით. მანქანები ბავშვებს თელავენ თითქოს. ამჯერადაც სასწრაფოდ გავეცალეთ ამ შავ ფერს.“

(ილდიზ რამაზანოღლუ. „დერინ სიაჰ“ 2007)

ერთ-ერთი სხვა ბავშვი. ბერნა ქუჩის ბავშვებს და საზოგადოებას შემდეგნაირად ახასიათებს:

„ქუჩის ბავშვები უმრავლესობისთვის მწვანე შუქივითაა. ერთს შეხედავენ და გაივლიან. ტროტუარის ქვაფენილივით, შეხე-

დავენ და გადაივლიან. თუმცა, ზოგიერთი ადამიანისთვის ისინი წითელი შუქივით არიან. შეხედავენ და ჩერდებიან. ჩერდებიან და ფიქრობენ. ფიქრობენ, რომ ეს ბავშვები პოტენციური ქურდები, ყაჩაღები და ნარკომანები კი არ არიან, არამედ მომავლის ღირებული ადამიანები და რა უნდა გააკეთდეს საიმისოდ, რომ მათ ჰყავდეთ ოჯახი და მშობლები.



ისინი ფიქრობენ, თუ როგორც სძინავთ ამ ბავშვებს ასე უწვევებლად, როცა ოჯახებში დედები ბავშვებს დიდი მცდელობისა და მუდარის შედეგად ძლივს აძინებენ შუადღისას. როგორი მადით და მონდომებით ჭამენ ესენი მიწოდებულ ფუნთუშას ან პურის ნაჭერს, როცა დედები ბავშვებს დიდი ხვეწნა-მუდართა და მოწადინებით ძლივს აჭმევენ. ნუთუ ეს ქვაფენილი უფრო თბილი და რბილია, ვიდრე დედის კალთა, ასე მშვიდად რომ სძინავთ. ეს ის ბავშვებია, რომლებსაც არჩევანის უფლება არ აქვთ. მათთვის არავის უსწავლებია ოცნების აგება, იმედი ქონა...”

ქუჩის ბავშვი

გვერდის ნომერი: არა.

გამოცემის ნომერი: არა.

საცხოვრებლის ნომერი: არა.

დედის სახელი?

მე ქუჩის ბავშვი ვარ ძია

აი ის ბავშვი გაფრენილ სათამაშოს რომ გაჰკიდებია,

ბუშტები რომ დარჩა სიზმარში,

სათამაშოები კი ზღაპრების გმირებმა მოპარეს.

ის ვარ. ის მე ვარ ძია

დედა მართლა უნდა მყოლოდა, ასე არ არის?

ნეტა რა გემო ჰქონდა დედის რძეს?

დედები როგორ ეფერებიან შვილებს?

ვინ იცის როგორია დედის სურნელი?

დედა...

შეგიძლია დედა დამიხატო ფუნჯით?

სიბნელეში, თოვლში, სიცვიით გათოშილ თითის წვერებზე დამიხატე

დავიწყებული ბავშვების მოცახცახე ხელისგულებზე დამიხატე დედა

და გვერდით მეც დამხატე ძია. დამხატავ?

აი იქ, ნამდვილ ნახატებში რომ არის

მაგრამ შენს თვალებს უჭირს ხომ დანახვა, ძია? ვერ ხედავს ამ ცივ, მოკანკალე ბნელ სხეულებს

შენ თუ გიცქერია მთვარისთვის ხიდის ქვეშიდან, ძია?

თუ შეგცივებია, როცა მოწვევებზე ვარსკვლავს თვალს აყოლებდი?

ის თუ განგიცდია...? ხო. კარგი. მოვეშვათ...

მოდი შეგიღებავ ფესხაცმელებს

მე ამ ფესხაცმელების ნაოჭებით ვახერხებ არსებობის გაგრძელებას

მოდი შემაღებინე ფესხაცმელი

შევღებავ რომ ნახოს ყველამ

მეგობარმა, მტერმა, ამ ქვაფენილმა...

გვერდის ნომერი: არა.

გამოცემის ნომერი: არა.

საცხოვრებლის ნომერი: არა.

ამდენი არას არსებობისას სულით სორცამდე მარტობა თუ გიგრძენია, ძია?

და კიდევ... მამაც უნდა მყოლოდა ხომ?

მამა?

რომ დამსაჯოს, მცემოს ეს მამაც არ მყავს, იცი?

ადამიანი, რომელიც დაკოჟრილ ხელებზე მზრუნველობას მოვძებნი

ვინ იცის, დღესასწაულებზე მამები რას
არ ყიდულობენ შვილებისთვის

არ მახსოვს... არ ვიცი...

თქვენ ხომ გქონდათ დღესასწაულები,
ძია? უქმე დღეებიც...

დღესასწაულები... მეგობრობა...

არადა მე დაფლეთილი მზერით შევეყურებ
მზეს... მთვარეს...

მამა მაინც მყოლოდა

ისევ ბავშვი ვიქნებოდი, როგორც ადრე
ცოტას გავთამამდებოდი

მოვეშვათ ამ ყველაფერს ძია

რა არის ეს დღესასწაულები

რა არის საჩუქრები ან ვინ არის მამა...

შენც გექნება ოცნებები...

უეჭველად გექნება

მითხარი, თუ ოცნებობ იმ სიზმარზე, რო-
მელიც არ დაგსიზმრებია

ამას წინათ აჰმეთმა სიზმარი ნახა

იმ დამღლეღ და გვიან ღამით

რცხვენოდა რომ ყვებოდა
ცის კაბადონზე თოკი ჩამოუბამს
„შეხედე დედა ფრანი გაგუშვი
ხელავ ამ ფრანის ჩრდილში მოთამაშე
ბავშვებს?

ეს აჰმედის ოცნება იყო...

შენი ოცნებები დამითმე ძია

მე კი უფასოდ შეგიღებავ ფეხსაცმელს
ოცნებები...ოცნებები...

შევეშვათ...

შეხედე როგორ გაპრიალდება შენი ფეხ-
საცმელი

შენ ყველაზე ლამაზი ფეხსაცმელებით
ივლი ცხოვრებაში

შენ ნუ იფიქრებ ჩემზე... ქუჩებმა იფიქრონ
გაზეთების მესამე გვერდზეა ნაფიქრი...

იმ უსახელო ცრემლმა იფიქროს...

შენ ნუ იფიქრებ ჩემზე. ნუ ფიქრობ ძია!

მე უფეხსაცმელო სიმსურვალით

დავაბიჯებ ქუჩებში

არც ქუჩას ყავს დედა და მამა

მე ქუჩის ბავშვი ვარ

მე იქ ვარ...

მოპოვებამდე დაკარგული მომავლის რო-
მელიმე ადგილას...

მე ქუჩის შვილი ვარ ძია

აი ის, ცაში გაშეებულ ფრანს გამოკიდე-
ბული ბავშვი

სათამაშოები რომ ზღაპრების გმირებმა
მოპარეს

აი ის ვარ

ის მე ვარ ძია

მე ვარ...

ბედირჰან გოქჩე

დასასრული

